პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

24 ივლისი შაბათი 1971 წელი 2 ქაჯ.

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 168 (15078)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲙᲐᲕ ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲮᲘᲚᲓᲡᲡ, ᲡᲐᲮᲗᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ!

თბილისი, 1971 წლის 23 ივლისი. სურათზე: სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მაცკევიჩი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომს გადასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს. ფოტო ვლ. ბინზაბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სს რესპუბლიკამ 1970 წელს დიდი წარმატებანი მოიპოვა და დაჯილდოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით.

23 ივლისს გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის მაღალი ჯილდოს გადაცემას. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, საკვების დამზადების შაბათობათა მონაწილენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები.

შეკრების პრეზიდიუმში არიან **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი,** სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ვ. ვ. მაცკევიჩი, ა. ნ. ჩურკინი, შ. ი. ჭანუყვაძე, ა. ნ. ინაური, ს. კ. კურკოტკინი, რ. ვ. მეტრეველი, ჯ. ი. პატიაშვილი,** სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავეები, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ სიტყვა მისცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს **ვ. ვ. მაცკევიჩს.**

ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩმა გულთბილად მიულოცა რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს წარმატებანი, რომლებიც საიუბილეო წელს მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში, და დამსახურებული მაღალი ჯილდო. მან თქვა, რომ ახლა სოფლის მშრომელების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და საპატიო საქმეა ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ყრილობისა, რომელმაც მოიწონა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა. მთელი ძალები უნდა მოხმარდეს იმას, რომ მოვიყვანოთ და ავიღოთ უხვი მოსავალი, შევქმნათ საკვების სიუხვე, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამხ. მაცკევიჩმა რესპუბლიკას უსურვა ახალი, კიდევ მეტი წარმატებანი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

სოციალისტური შრომის გმირთა ჯგუფს შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამხ. **მაცკევიჩმა** დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გ. დ. ჯავახიშვილს.** მან გადასცა აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომი, რომელიც საქართველოს სსრ მიეცა.

საპასუხო სიტყვაში ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობისა და რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსათვის და განაცხადა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის კოლექტივები, ახალგაზრდობა, მეცნიერები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ხუთწლედის პირველი წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სოფლის მეურნეობაში, ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ შეასრულონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო დავალებანი და ნაკისრი ვალდებულებანი, ღირსეულად განახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

სალაპარაკოზე, რომელსაც რესპუბლიკის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მშრომელები უპასუხებენ მაღალნაყოფიერი მუშაობით, მოსავლის მოყვანის გაზრდილ ვალდებულებებზე, საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების მომდინარეობაზე, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მიულოცეს მახარაძის რაიონის სოფელ ხატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა **გ. ა. წითლიძემ,** გარდაბნის მებოსტნეობა-მებოლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **მ. რ. გასანოვმა,** თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირმა **გ. შ. ჩადუნელმა,** საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა **გ. გ. აბაშიძემ,** გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორმა **ნაზიბროლა ჭახაიამ,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა **ჯემალ დუდაშვილმა.**

(საქდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავიანთი სახელით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარეს ანვარ სადათს, მეგობარი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხსა და მთავრობას გაუგზავნეს გულითადი მილოცვა და ყოველივე საუკეთესო უსურვეს 1952 წლის 23 ივლისის რევოლუციის წლისთავის გამო.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს ჟისკარ დ' ესტენს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 23 ივლისს მიიღო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ვალერი ჟისკარ დ' ესტენი, რომელიც მეთაურობს სსრ კავშირში ჩამოსულ საფრანგეთის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მუდმივმოქმედი შერეული („დიდი") კომისიის VI სესიაზე.

საუბრის დროს მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომი ვანვითარებისა და ორი ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოების საკითხთა ფართო წრე. ყურადღება დაეთმო თანამშრომლობის ზოგიერთ ახალ დარგს, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ტექნიკური პროგრესის მსვლელობასთან. საუბარი მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და კეთილმოსურნეობის სულისკვეთებით.

ᲒᲔᲝᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით გულითადად მივესალმები გეოქიმიკოსთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებსა და სტუმრებს.

მეცნიერული კვლევა, რომლის მიზანია გეოქიმიური პროცესების კანონზომიერებათა გამოვლინება, ყველა ქვეყნის მეცნიერთა წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან ამ კანონზომიერებათა შეცნობა ქმნის ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ საბჭოთა მეცნიერებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა სასარგებლო წიაღიხეულის განლაგების კანონზომიერებათა გამოვლინება, მისი დაზვერვისა და მოპოვების მეთოდების ეფექტიანობის გადიდება. ამ პრობლემების გადაჭრა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერ ათვისებას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ედემიწის წიაღის, ოკეანისა და ატმოსფეროს რესურსების გამოყენების საკითხები დიდად აინტერესებს მსოფლიოს ყველა ხალხს და ამ საკითხთა წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობას.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ გეოქიმიკოსთა პირველი საერთაშორისო კონგრესი და ამ კონგრესზე აქტუალური მეცნიერული პრობლემების შემოქმედებითი განხილვა ხელს შეუწყობს გეოლოგიურ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობის განმტკიცებას, საქმიანი ურთიერთკონტაქტების გაფართოებას, ადამიანთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას მათს კეთილშობილურ მისწრაფებაში მშვიდობისადმი.

ვუსურვებ კონგრესის ყველა მონაწილეს ნაყოფიერ მუშაობას და ვიმედოვნებ, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მეცნიერების შემდგომი განვითარების გზაზე.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს წინადადებანი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავების საბჭოთა კავშირის გმირის პოდმასკოვნოვ გ. ტ. დობროვოლსკის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ნ. ვოლკოვისა და საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ი. პაცაევის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. და მიიღეს გადაწყვეტილება:

დაიდგას გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევის ბიუსტები მათს სამშობლო ქალაქებში — ოდესაში, მოსკოვსა და აქტიუბინსკში;

აიგოს ობელისკი „სოიუზ-11" კოსმოსური ხომალდის დაშვების ადგილას;

დაიდგას მემორიალური დაფები ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მოსამზადებელი ცენტრის, ხარკოვის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ს. ი. გრიცევეცის სახელობის უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის, მოსკოვის ხერგო ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტისა და პენზის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობებზე, სადაც კოსმონავტებმა განათლება მიიღეს.

მოწონებულ იქნას ოდესის, მოსკოვისა და აქტიუბინსკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წინადადება, რომ გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევის სახელები მიენიჭოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომლებშიც კოსმონავტები სწავლობდნენ, და ერთ-ერთ ქუჩას ქალაქებში ოდესაში, მოსკოვსა და აქტიუბინსკში.

ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲑᲐ Ვ. ᲞᲘ. ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

22 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვენელინ კოცევი,** რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება.

ვ. პ. მჟავანაძესა და ვ. კოცევს შორის გაიმართა გულთბილი, ამხანაგური საუბარი.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ა. **დემენტიევი,** რომელიც ბულგარელ სტუმარს ახლავს მოგზაურობის დროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **რ. ვ. მეტრეველი, დ. ვ. გოგოხია, ო. ვ. ჩერქეზია,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე **გ. შ. მაისურაძე.** (საქდესი).

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ამხ. გ. ი. ვორონოვის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ამხ. გენადი ივანეს-ძე **ვორონოვი** დაინიშნოს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 22 ივლისი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. გენადი ივანეს-ძე **ვორონოვი** განთავისუფლებულია რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. (საქდესი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. პავლე ვასილის-ძე **კოვანოვი** გაათავისუფლა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ვაჭრობის მუშაკთა ზეიმი

23 ივლისს ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვაჭრობის მუშაკის დღეს.

კრება გახსნა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ შ. მ. ტატვინიძემ.

მოხსენება — რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკთა ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით — გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. ზ. თოხაძემ.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ ამხანაგები შ. ღ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲗᲐᲕᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა პარტიამ განსაზღვრა როგორც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა. როგორც ცნობილია, ამ აღმავლობის საფუძველი უნდა იყოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საკვები ბაზის მაქსიმალური განმტკიცება.

ამ დებულებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ რესპუბლიკის სოფლის მშრომელები. შეიარაღდნენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე განხილული და მოწონებული სამუშაოთა კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმებით სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გააჩაღეს ბრძოლა პარტიის წინასწარდასახული ღობათა შესრულებისათვის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები რაზმავენ მშრომელებს ბუნებრივი საკვები სავარაუდების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც რესპუბლიკაში წარმოებული საკვების 60 პროცენტზე მეტს იძლევიან. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობის გადიდებისათვის დახარჯულია და უკვე ხორციელდება დიდმნიშვნელოვანი აგრომელიორაციული და სამელიორაციო ღონისძიებანი.

ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ახალგაზრდობასაც. წითელწყაროში გამართულ ახალგაზრდა მეცხოველეთა თათბირ-სემინარზე კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ იკისრეს დიდი ვალდებულებანი საკვების წარმოების, მდელოებისა და საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ჯერ ორი თვეც არ გასულა, მაგრამ უკვე მოპოვებულია პირველი სასიხარულო მაჩვენებლები. იბრძვის რა სახელოვანი ეუბილეს — საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, რესპუბლიკის ბევრი რაიონის ახალგაზრდობა წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში.

საყურადღებო თაოსნობის ინიციატორები გახდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ხუთი წლის მანძილზე დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაეხმარონ სარეველებისაგან 10 ათასი ჰექტარი სათიბისა და საძოვრის გაწმენდაში, მონაწილეობა მიიღონ უხვი და ვწვიანი საკვების დამზადებაში, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციაში.

15 ივლისიდან დუშეთის რაიონის მაღალ მთის საძოვრებზე სოფელ გუდაურის მიდამოებში მუშაობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული, ეკონომიური და სატყეო მეურნეობის ფაკულტეტების 200 სტუდენტი. პირველ კვირაში სტუდენტებმა მაგნე სარეველისაგან — შხამასაგან გაწმინდეს 350 ჰექტარი საძოვარი. მათ წარმატებითს მუშაობას დიდად უწყობს ხელს ის, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა კარგად მოაწყეს სტუდენტთა კვება და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

21 ივლისს სტუდენტებთან ჩაიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული, ეკონომიური და სატყეო მეურნეობის ფაკულტეტების 200 სტუდენტი. პირველ კვირაში სტუდენტებმა მაგნე სარეველისაგან — შხამასაგან გაწმინდეს 350 ჰექტარი საძოვარი. მათ წარმატებითს მუშაობას დიდად უწყობს ხელს ის, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა კარგად მოაწყეს სტუდენტთა კვება და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

21 ივლისს სტუდენტებთან ჩაიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული, ეკონომიური და სატყეო მეურნეობის ფაკულტეტების სტუდენტთა შრომის ანაზღაურება, წარჩინებულთა წახალისება, მათი დასვენების ორგანიზაცია. მდელოების დათვალიერების შემდეგ მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მდელოებისა და საძოვრების სარეველებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას, თქვა რომ საჭიროა ასეთივე მუშაობა გაიშალოს ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ყაზბეგის, ბორჯომისა და რუსთავის რაიონების სხვა რაიონებში, ამ საქმეში მაქსიმალურად უნდა ჩაებან კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის ახალგაზრდობა.

დიდხანს გრძელდებოდა გულთბილი, გულითადი საუბარი. თქვენს ძვირფას თაოსნობას, უთხრა დასასრულ სტუდენტებს ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ფართოდ გამოვხმაურნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კოლექტივები. ეს კარგი წამოწყებაა და ყოველი ღონისძიებით უნდა შევუწყოთ ხელი მის შემდგომ გაფართოებას. სოფლის მშრომელებმა ხომ სარეველებისაგან უნდა გაწმინდონ 30 ათასი ჰექტარი მდელო და საძოვარი, დაამზადონ ათასობით ტონა საკვები და ამით ხელი შეუწყონ რესპუბლიკის საზოგადებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

სტუმრებმა სტუდენტებს უსურვეს წარმატებანი სწავლაში, შრომასა და ცხოვრებაში. (საქდესი).

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲗᲐᲕᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი ექსპრესების საჭესთან

ახალგაზრდული კოლექტივის ფიქრი და საქმე

არავალი ჰაბუკი და ქალიშვილი შრომობს ჩვენი დედაქალაქის მიწისქვეშა მაგისტრალებზე. ეს ახალგაზრდები დიდი კოლექტივის ის ნაწილია, ვისზეც ბევრად არის დამოკიდებული თბილისის მეტროპოლიტენის გამართული მუშაობა.

სად, ამ მიწისქვეშა ტრანსპორტის რომელ უბანზე არ შეხვდებით ახალგაზრდებს. კომკავშირელებს ვ. გიორგაძეს, შ. ხვედელიძეს და სხვებს ელექტრომატარებლების ხაზე ანდეს და ახლა ცისფერ ექსპრესებს ლაღად დააჭროლებენ, მილიონობით მგზავრთა გადაყვანაში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ, მადლობას და პატივისცემას იმსახურებენ.

აი თუნდაც კომკავშირელი თენგიზ ლომსაძე, მეტროპოლიტენის ელექტროდეპოს ხარატი, თსუ-ს ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების V კურსის სტუდენტი. იგი შვიდკლასდამთავრებული ჩამოვიდა ხარაგაულიდან, ობოლო ბიჭი 13 წლიდან შეუდგა ფიზიკურ შრომას, წარმატებით დაამთავრა მეხუთე პროფტექნიკური სასწავლებელი, დაუფლა ხარატის პროფესიას და მუშაობა დაიწყო სალოკომოტივო დეპოში. თენგიზი ანდამატივით მიიზიდა ახალმა საწარმომ, დანადგარებმა, და ახლა მეტროპოლიტენის ელექტროდეპოში დიდი სიუხვით ჩარხავს დეტალებს, კონკურსში „საუკეთესო თავის პროფესიაში“ ხშირად მსოლოდ I-II ადგილებს ისაკუთრებს; ან შოთა მელიქიძე, ბაკურიანელი გამჭრიახი ჰაბუკი, წითელი არმიიდან რომ მოვიდა ელექტროდეპოში და ახლა ავარატურის საამქროში ბრიგადას უძღვება; მისი სახელი მოწინავეთა დაფას ამშვენებს. ახლა იკითხეთ ვაგონის გამსინჯავ გოდერძი ბოცრაშვილის შრომის ამბავი. რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ. ამ ახალგაზრდების დიდი წვლილია, რომ ელექტროდეპომ სხრ კავშირის მეტროპოლიტენებს შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ადგილზე ვაგონების საშუალო შეკეთება.

აღსანიშნავია, რომ ამ ახალგაზრდებში საზოგადოებრივი აქტივობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობა, ამაღლონ მათი პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის, ჩააბან ისინი საწარმოო რეზერვების გამოყენების საქმეში — ამ ნიშნით აწყობს მთელ თავის საქმიანობას მუშა-ახალგაზრდობასთან თბილისის მეტროპოლიტენის კომკავშირის კომიტეტი. მისი ხელმძღვანელობით მალე დინჯზე ჩაბარდა სკკპ XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი „ლენინური ჩათვლები“. კომკავშირის კომიტეტი ყოველნაირად ცდილობს უკეთ ჩაუნერგოს ახალგაზრდობას კომუნისტის მშენებლის, კომუნისტური პარტიის ღირსეული თანამშრომლის და რეზერვის მაღალი ზნეობრივი თვისებები.

აქ კომკავშირული მუშაობის კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ვ. ი. ლენინის დიადი იუბილეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის, საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის, სკკპ XXIV ყრილობის მზადების დღეებში. იგი დღესაც წარმატებით გრძელდება. მეტროპოლიტენელ მა ახალგაზრდებმა საუკეთესოსად იმუშავეს, შეისწავლეს სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტები და მასალები, ამჟამად შრომობენ და იბრძვიან ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

საწარმოების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საწარმოო მაჩვენებლების გაზრდისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში ჭალიშვილებისა და ჰაბუკების ფართოდ ჩაბმისათვის. გვირაბში, ქვესადგურში, ელექტროდეპოში, ესკალატორების სამანქანოებში ახალგაზრდების ინიციატივიანი შრომის შედეგად იბადება მრავალი ახალი აზრი და წინადადება, რომელთა განხორციელება წინ სწევს საწარმოო მაჩვენებლებს, ეფექტური ხდება ახალგაზრდობის მონაწილეობა შრომის სოციალისტური დისციპლინის ამაღლების, ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. ახალგაზრდა რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების წინადადებებმა ათიდან ათასობით მანეთი ეკონომია მისცა საწარმოს.

კომკავშირული შრომისა და ცხოვრების შესანიშნავ მაგალითს იძლევიან ა. ჩომახიძე, ვ. მერაბოვი, გ. ბაზერაშვილი, რ. აფხაძე, ნ. მექოშვილი, გ. ნოზაძე, დ. მიქაძე და სხვები.

მეტროპოლიტენელ ჰაბუკებსა და ქალიშვილებს შრომასთან ერთად აქტიური დასვენებაც უყვართ. ისინი თავისუფალ დროს სპორტს მიუღვნიან, დასვენების და უქმე დღეებში ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს. უკვე იყვნენ მცხეთაში, ინახულეს არმაზის ხეობა, ჯვარი, ქვემო ქართლის ქვახვრელს, შიომღვიმეს და სხვა ისტორიულ ადგილებს. ხუთი წელია ეს ორგანიზაცია არსებობს, და უკვე რიგით მეხუთე სპარტაკიადა ეწყობა. კარგი მიღწევები აქვთ ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ტყვიის სროლაში, ტურისტულ სამჭიდში...

— მძღეოსანი შოთა მელიქაძე, მოჭადრაკეები ხუთისო ჰინეჰარაული, თენგიზ ბახტაძე, ფრენბურთელები ლერი მუხურაძე და სხვები შრომასთან ერთად სპორტული მიღწევებითაც არიან ჩვენთან ცნობილი, — გვეუბნება კომიტეტის მდივანი ლ. ჰახუაძე.

ყურადღება ექცევა საწარმოო დისციპლინის განმტკიცებასა და საწარმოო რეზერვების გამოვლინებას. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ „კომკავშირული პროექტორის“ შტაბი და მისი საგუშაგოები. ისინი სისტემატურად აწყობენ რეიდებს, რაც დიდად უწყობს ხელს ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. დროულად ავლინებენ ნაკლოვანებებს და სახვენ ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის. „კომკავშირული პროექტორის“ საგუშაგოები უნარიანად იყენებენ კედლის გაზეთებს, ფურცლებს „ჩინჩარას“, „გკალს“.

აქტიური, ინიციატივიანი კომკავშირელები შრომისა და დასვენების შესაფერის პირობებს მოითხოვენ. აქ აფასებენ და ყურად იღებენ მათს შენიშვნებსა და წინადადებებს. მაგალითად, ელექტრომომარაგების დისტანციის ახალგაზრდები ხშირად გამოდიოდნენ კრიტიკული შენიშვნებით, რომ არ ჰქონდათ ჯეროვანი პირობები სპორტული მეცადინეობისათვის, ვერა და ვერ მოაწყეს სპორტული მოედნები. კომკავშირის კომიტეტი ჩაერია ამ საქმეში, დაეხმარა ახალგაზრდებს რეზერვების გამოვლინებაში. ადგილზე მათივე შრომით მოწაფეობით მოაწყეს სპორტული მოედანი. ცუდად მუშაობდა მუშათა სასადილო. ახალგაზრდების კრებაზე მუშათა სასადილო. შესარჩევ თავიანთ სამხატვრო ბრიგადას — ტექნოლოგ-ტექნოლოგ ლ. ბერულავას, ტექნოლოგ ნ. ბერულავას, ტექნოლოგ ნ. ბერულავას, ტექნოლოგ ნ

მსოფლიო დღეს

ტოკიო

კონსტრუქციული წინადადებანი

23 ივლისი (საკადესი), ვიეტნამის საკითხი უნდა გადაწყვიტონ თვით ვიეტნამელებმა, წერს დღეს სარედაქციო სტატიაში იაპონიის ერთ ერთი წამყვანი გაზეთი „ასახი“.

ჩვენ მიგვაჩნია, განაგრძობს გაზეთი, რომ ვიეტნამში ომის დამთავრებისათვის კარგი საფუძველია სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ამჟამინდელი წინადადებანი.

ამ რეალურ და კონსტრუქციულ წინადადებებს, ნათქვამია სტატიაში, ყველგან ფართოდ უჭერენ მხარს.

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს დღემდე არ გაუცია პასუხი წინადადებებზე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამერიკამ განიხილოს ეს წინადადებანი და წარმოადგინოს თავისი პროექტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გაყვანის ზუსტი თარიღი.

მხოლოდ მაშინ დაიძვრის მკვდარი წერტილიდან მოლაპარაკება ვიეტნამში მშვიდობის დამყარების შესახებ.

ჯარიზი

წინადადებანი პასუხს ელიან

23 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი ო. შიროკოვი იუწყება: ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი თათბირის 122-ე პლენარული სხდომა გაიმართა საერთაშორისო კონფერენციების სახლში ქალების ავენიუზე პარიზში.

სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციამ შეიტანა შვიდპუნქტიანი წინადადება, მაგრამ ამერიკის მთავრობას დღემდე არ გაუცია ამ წინადადებებზე გარკვეული და კონკრეტული პასუხი, განაცხადა თავის გამოსვლაში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ნგუენ თხი ბინმა.

ჰეშმარიტება ის არის, ხაზი გაუსვა მან, რომ თვითეული წინადადება, რომელსაც შეიცავს მშვიდობიანი მოწესრიგების შვიდპუნქტიანი გეგმა, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინადადებანი, სავსებით ცხადია, განაცხადა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, რომ, მიმართავს რა ასეთ პრაქტიკას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს გვერდი აუაროს კონკრეტულ პასუხს ამ წინადადებებზე, მოიგონა დრო და მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი.

სიყალბით აღსავსე მანევრებით ვიეტნამის პრობლემა ვერ გადაიჭრება, აღნიშნა თავის გამოსვლაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა სუან თხიუმ. პარიზის თათბირი მხოლოდ მაშინ წაიწევს წინ, თუ ამერიკის მთავრობა დადებითს პასუხს გასცემს მშვიდობიანი მოწესრიგების შვიდპუნქტიანი გეგმის ძირითად წინადადებებს, ხაზი გაუსვა მან.

სხდომაზე გამოსულ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ადმინისტრაციის დელეგაციების მეთაურებს ამჯერადაც არ შეუტანიათ რაიმე კონკრეტული წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობდა მოლაპარაკების წარმოებასა და ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას.

სიფრთხილის უმკაცრესი ზომები

ნიუ-იორკი

23 ივლისი, (საკადესი). ინდოჩინეთში ამერიკის ავიაციის შესახებ საიდუმლო დოკუმენტების პრესაში გამოქვეყნების შემდეგ პენტაგონი ახორციელებს სიფრთხილის უმკაცრეს ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილოს თავისი არასასურველი საქმიანობის ახალი მხილებების შესაძლებლობა.

თავდაცვის მინისტრის ლერდის დირექტივის შესაბამისად ამერიკის ავიაციის სამინისტროს ჯაშუშურებული დაცვის ქვეშაა ყველა საიდუმლო დოკუმენტი, რომლებიც არის კვლევითი კორპორაციის „რენდის“ განკარგულებაში.

როგორც ლერდს აცნობა ავიაციის მინისტრმა სიმენსმა, ახლა ყველა საიდუმლო დოკუმენტი მოთავსებულია კორპორაციის „რენდის“ სანტა-მონიკას (კალიფორნიის შტატი) და ვაშინგტონის განყოფილებათა ცენტრალურ საცავებში.

კორპორაციის თანამშრომლებს სასტიკად აქვთ აკრძალული ეს მასალები შეინახონ ინდივიდუალურ სეიფებში და ისარგებლონ დოკუმენტებით საცავის ფარგლებს გარეთ.

ავიაციის მინისტრმა განაცხადა, რომ „რენდის“ კორპორაციას აქვს 173 ათასზე მეტი საიდუმლო და უაღრესად საიდუმლო დოკუმენტი.

ნიღაბი აიხადეს

ვაშინგტონი

23 ივლისი. (საკადესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა სენატორ კ. კეისის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ მომდინარე საფინანსო წელს ამერიკის მთავრობა უშუალოდ დაფინანსებს რადიოსადგურებს „თავისუფალ ევროპას“ და „თავისუფლებას“.

ეს რადიოსადგურები მთავარი რუპორები არიან „ომისა ეთერში“, რომელსაც შეერთებული შტატები გააფთრებით აწარმოებს, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“ ყოველდღიურად წამლავენ ეთერს დეზინფორმაციითა და პროვოკაციული მონაცემებით.

როგორც დოკუმენტურად დამტკიცდა, ფაქტიურად ეს რადიოსადგურები ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალებია.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საგულდაგულოდ „დამოუკიდებლობის“ ნიღაბს აფარებდა ამ რადიოსადგურებს, რომლებიც სინამდვილეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სახსრებით არსებობდნენ.

სენატში კანონპროექტის შეტანისას სენატორმა კეისმა განაცხადა, რომ „ამ ბოლო 20 წლის მანძილზე რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი მთავრობის ფონდებიდან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ბიუჯეტების საშუალებით დაიხარჯა ამ რადიოსადგურების საქმიანობის სრული ანაზღაურებისათვის“.

მაგრამ სენატორის უკმაყოფილება ამ ფაქტებს კი არ გამოუწვევია, არამედ მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „კონგრესს საშუალება არ ჰქონდა თავისი ტრადიციული როლი შეესრულებინა ხარჯების განაწილებაში“.

ღარიბთა მდგომარეობა უარესდება

ვაშინგტონი. 23 ივლისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კიდევ უფრო დაქვეითა მრავალი ათასი ღარიბი ამერიკელის ცხოვრების დონე. მიწოთმოქმედების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ძალაში შევიდა ღარიბებისათვის ეგრეთწოდებული სასურსათო მარკების მიცემის გადასინჯული პროგრამა.

სამინისტრომ რამდენადმე გაადიდა მარკების საერთო რიცხვი, მაგრამ „კომპენსაციის“ წესით არსებითად შეუმცირა დახმარება 275 ათას ღარიბს, ხოლო ზოგიერთი კატეგორიის ამერიკელები საერთოდ ამოიღო იმ პირთა სიებიდან, რომლებსაც პროგრამა ეხებათ.

სასურსათო მარკებს აძლევენ ამერიკის შეერთებული შტატების უღარიბეს მოქალაქეებს, რომლებსაც იმდენად მცირე შემოსავალი აქვთ, რომ ოჯახი ვერ ურჩენიათ. ისინი მთავრობის სოციალური დახმარების უწყებებში ყიდულობენ სასურსათო მარკებს და შეუძლიათ ამ მარკებით რამდენადმე უფრო მეტი სურსათი შეიძინონ მაღაზიებში, ვიდრე ნაღდი ფულით.

სასურსათო მარკების გაცემის გადასინჯული პროგრამის შემოღებამდეც კი იგი ღარიბ ამერიკელთა უმნიშვნელო რიცხვს მოიცავდა.

მაგალითად, დეტროიტში 53 ათასი კაცი და, რომლებიც ოფიციალურად სცნეს ღარიბებად, მხოლოდ 3,5 ათასმა მიიღო დახმარება ამ პროგრამით. ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლში, სადაც უმუშევრობის დონემ 15,2 პროცენტს მიაღწია, ღარიბებისათვის სასურსათო მარკების გაცემის პროგრამა არ არსებობს.

გუშინ ამ თვალში მთავრობის პოლიტიკა გააკრიტიკა სენატორმა ა. რიბიკოფმა. ფართოდ რეკლამირებული დახმარების პროგრამის მიუხედავად, განაცხადა მან, „25,5 მილიონი ამერიკელი კვლავინდებურად სიღატაკეში ცხოვრობს“.

ბონი ფინანსური ბარიერი

23 ივლისი. (საკადესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრს შილერს დაავალა შეიმუშაოს კანონპროექტი, რომელიც მკვეთრად შეზღუდავს დასავლეთ გერმანიის ფირმების მიერ უცხოეთის კრედიტების მიღებას.

ეს ღონისძიება მიაჩნიათ „მეორე ფინანსურ ბარიერად“, რომლის მიზანია კიდევ უფრო შეზღუდოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უცხოეთის ვალუტის, განსაკუთრებით ამერიკული დოლარების მოზღვავება.

პირველი ასეთი ბარიერი დააწესეს მიმდინარე წლის 9 მაისს, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა შემოეღო მარკის მერყეული კურსი, რათა შეეჩერებინა დასავლეთ გერმანიაში „კრიზისის მიერ შეღახული დოლარის“ მოზღვავება.

ასეთი ღონისძიების შედეგად დოლარის კურსი მარკის მიმართ შემცირდა 3,46 მარკამდე დოლარში.

ამის შედეგად, როგორც გუშინ დასავლეთ გერმანიის „ფედერალური ბანკის“ საბჭოს სხდომაზე ბანკის პრეზიდენტმა კლაზენმა განაცხადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვალუტის რეზერვები 7,1 მილიარდი მარკით შემცირდა.

მაგრამ უკანასკნელ რამდენიმე კვირაში გაჩნდა ნიშნები, რომლებიც მოწმობენ, რომ მაისში დაწესებულ ფინანსურ ბარიერს ბაზარი გაუჩნდა.

სწორედ ამან აიძულა ბონი გაეხორციელებინა სასწრაფო ფინანსური ღონისძიებანი. მაგრამ, გაზეთ „ნოიე რაი-ცაიტუნგის“ აზრით, ეს ღონისძიება ვერ მოატანს საჭირო შედეგს.

ახალი კანონი ვერ მოუღებს ბოლოს ვალუტით სპეკულაციას.

მიწისძვრის შედეგები

შენევა, 23 ივლისი. (საკადესი). 8 ივლისს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალდა 500 ათასი კაცი, ანუ ჩილეს მოსახლეობის 5 პროცენტზე მეტი. 23 კაცი დაიღუპა და 400 დაშავდა. მთლიანად დაინგრა 14 ათასი სახლი, 220 ათასზე მეტი საცხოვრებელი სეროზულად დაზიანდა, წინასწარი მონაცემებით, მატერიალური ზარალის საერთო თანხა დაახლოებით 158 მილიონ დოლარს შეადგენს.

ეს ციფრები მოიყვანა ჩილეს წარმომადგენელმა ერნან სანტა კრუსმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესიაზე სტიქიურ უბედურებათა შემთხვევაში დახმარების შესახებ საკითხის განხილვის დროს.

ჩილეს მთავრობის სახელით სანტა კრუსმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კუბას, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებს სწრაფი და ეფექტიანი დახმარებისათვის.

სუდანის ამბები

ხარტუმი, 23 ივლისი. (საკადესი). ბრძანების საგენტო იმოწმებს ომდურმანის რადიოს და იუწყება, რომ სუდანის არმიის ნაწილებმა, რომლებიც მხარს უჭერენ გენერალ ნიმეირის, დღეს ხელში ჩაიგდეს დედაქალაქის რადიოსადგური.

გამოვიდა რა რადიოთი, მაიორმა აბულ ელ-ყასემ მუჰამედ იბრაგიმმა, წევრმა რევოლუციური საბჭოსი, რომელსაც ჯ. ნიმეირი მეთაურობდა, განაცხადა, რომ მთელ სახელმწიფოში შემოღებულია საგანგებო წესები.

შემდეგში, როგორც სააგენტო იუწყება, რადიოთი ხალხს მიმართა გენერალმა ნიმეირიმ.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი, 23 ივლისი. (საკადესი). ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა. პაკისტანელ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი, რომელსაც ცეცხლით უჭერდნენ მხარს, შეიჭრა შეჩრილიყო დასავლეთ ბენგალიის შტატის ტერიტორიაზე. მაგრამ ეს ცდა ინდოელმა მესაზღვრეებმა ჩაშალეს.

ყარაჩი, 23 ივლისი. (საკადესი). ინდოეთის შეიარაღებულმა ძალებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს აღმოსავლეთ პაკისტანის ქალაქ კომილას, რომელიც ინდოეთის მოკავშირის ტრიპურის ტერიტორიის საზღვრის ახლო მდებარეობს.

თვითმფრინავი ჰაერში აფეთქდა

ლონდონი. 23 ივლისი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბაღდადიდან სუდანის დედაქალაქ ხართუმში სპეციალური რეისით მიმავალი ერაყის თვითმფრინავი ჰაერში აფეთქდა ქალაქ ჯიდისაგან (საუდის არაბეთი) ხუთ კილომეტრზე.

თვითმფრინავში იყო ერაყის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სრულიად არაბეთის ხელმძღვანელობის წევრი შუქამედ სულეიმანი და ამ პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი სალაჰ სალეჰი.

ჯარიზი

ერთიანობის შეძგოში განმტკიცებისათვის

23 ივლისი. (საკადესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებასა და ერთობლივი მოქმედების გაფართოებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც მოსკოვის 1969 წლის საერთაშორისო თათბირმა მიიღო.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უახლოეს რამდენიმე კვირაში საფრანგეთის კომპარტია გამოვა ინიციატივით, დასახავს საჭირო ღონისძიებებს, რათა გაიმაღლოს მოქმედება ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისათვის

მთავარი ამოცანა

ჰელსინკი

23 ივლისი. (საკადესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია გააკეტაროს ყველა კეთილი ნების ადამიანის მოქმედება ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

ეს განაცხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. ჩანდრამ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს ფინეთის დედაქალაქში გაიმართა.

რ. ჩანდრამ მხარი დაუჭირა შვიდ პუნქტს, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ წამოაყენა, და მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

მან განაცხადა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო პირველ ოქტომბერ-ნოემბერში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოაწყობს ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის მარშებს.

რ. ჩანდრა შეეხო ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგინის გზებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ვიბრაციოლოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებისათვის.

ინდირა განდის განცხადება

დელი, 23 ივლისი (საკადესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მკაცრად გააკრიტიკა ქვეყნის რეაქციული პარტიები, რომლებიც აღმოსავლეთ-პაკისტანელი ლტოლვილების პრობლემას თავიანთი ანგარებითი მიზნებისათვის იყენებენ და ცდილობენ რელიგიურ-თემური შუღლი ჩამოაგდონ.

ი. განდიმ ვანაცხადა, რომ ეს პარტიები ატყუებენ ხალხის მასებს, რითაც ამრკოლებენ ინდოეთის წინსვლის პროგრესის გზით.

პერსპექტივები არ ჩანს

ლა-ვალეტა. 23 ივლისი. (საკადესი). ლა-ვალეტიდან ლონდონს გაფრინდა ინგლისის დელეგაცია თავდაცვის მინისტრის ლორდ კარინგტონის მეთაურობით „პრემიერ-მინისტრ ე. ჰიტთან კონსულტაციებისათვის“.

აეროპორტში გაკეთებულ მოკლე განცხადებაში კარინგტონმა თქვა, რომ მალტის მთავრობასთან ორი დღის მოლაპარაკების შედეგად იგი ვერ ხედავს პერსპექტიულ შესაძლებლობებს შეთანხმების მისაღწევად. როგორც ცნობილია, მალტის მთავრობამ მოითხოვა ძირეულად გადაისინჯოს ინგლის-მალტის თავდაცვითი და ფინანსური შეთანხმებანი. მალტის მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა, რომელსაც ამ შეთანხმების ძალით კუნძულზე აქვს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები, უფლებამოსილი არ არის გადასცეს ისინი ნატოს ქვეყნების განკარგულებაში მალტის მთავრობის ნებართვის გარეშე.

გაზეთი „მალტა-ნიუსი“ განმარტავს ორი ქვეყნის წარმომადგენლების აზრთა გაზიარების შედეგებს და წერს: ბოლოს და ბოლოს ინგლისთან შეთანხმებას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ზოგს ჰგონია. ალტერნატიულ ფინანსურ წყაროებს გამოვნახავთ, თუ ინგლისთან მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდება.

ლონდონი, 23 ივლისი. (საკადესი). ლონდონში დაბრუნებული ლორდი კარინგტონი შეიხა რა მალტის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგებს, განაცხადა, რომ ინგლისისა და მალტის მთავრობების თვალსაზრისი მალტაში ინგლისის ჯარების ყოფნის შესახებ ამდენად განსხვავდება, რომ „ამჟამად იგი ვერ ხედავს შესაძლებლობებს შეთანხმების მისაღწევად“.

სურათზე: ინგლისის საელჩოდრო ნაღმოსანი „ლონდონი“ ლა-ვალეტას რეიდზე.

ვაშინგტონი: ცვლილებათა მოლოდინში

ჟიმმა მოჭამა თავისი დრო და სულ უფრო ნაკლებ პოპულარული ხდება, ეკლესიას მართებულად მიაჩნია, რომ ამ რეჟიმის შემდგომ აშკარა მხარდაჭერას შეიძლება მოჰყვეს მისი იზოლაცია კათოლიკე მასებისაგან. სწორედ ამიტომ ეკლესიის ბევრი მსახური ახლა ემხრობა ცვლილებებს, მოითხოვს ქვეყნის დემოკრატიზაციას.

მადრიდის ძველ, მაგრამ უკვე რამდენადმე მოღერნიზებულ ნაწილს ჩრდილო-დასავლეთით ეკვრის უნივერსიტეტის ქალაქი, რომელიც მწვანეშია ჩაფლული. მისი სიმაღლეებიდან ჩანს პარკი კასა დელ კამპო. წარსულში იქ შესვლა შეეძლოთ მხოლოდ მეფის დიდებულებს, ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს მის აღმოსავლეთ ნაპირს გასდევდა თავდაცვის ხაზი, პარკის სიმაღლეებიდან, რომლებიც ქალაქს დაჰყურებენ, ფრანკისტების არტილერია ჭურვებს უშენდა ნაღრიდის დამცველ რესპუბლიკელთა პოზიციებს.

მადრიდის უნივერსიტეტი, ისევე როგორც ესპანეთის სხვა უნივერსიტეტები, უკანასკნელ წლებში ოფიციალურ ხელისუფალთა განსაკუთრებული შეშფოთების საგანი გახდა. მის კედლებში ხდება მღელვარება, გაფიცვები, პრესა ხშირად იუწყება პოლიციასთან სტუდენტების შეტაკებათა, დაპატიმრებათა შესახებ. ორი წლის წინათ უნივერსიტეტებში „საზოგადოებრივი წესრიგის“ ძალები, ესე იგი პოლიცია შეიჭრნენ. მაგრამ მდგომარეობა ამით არ შეცვლილა. მღელვარება გრძელდება.

ესპანური ეგზოტიკისა და სიძველის მოყვარულთათვის: აქ არის სხვადასხვა ზომის შპაგეტები, რომლებიც, როგორც გაქნილი ვაჭრები გაიძახიან, გაკეთებულია განთქმული ტოლედური ფოლადისაგან, დონ-კიხოტიც თავისი მეაბჯრიანად, განთქმული სევილიელი მოცეკვავე ქალებიც თვალისმომჭრელი ტანისამოსითა და კასტანიეტებით და, რა თქმა უნდა, წითელმოსასხამიანი ტორეროებიც. ტურიზმი უცხოეთის ვალუტის შემოსავლის დიდმნიშვნელოვანი წყარო გახდა. მეორე ასეთი წყარო ესპანეთში ნათესავებისათვის გადმოგზავნილი ფულადსართები მრავალ ასეულ ათასობით ესპანელ მშრომელთაგან, რომლებიც იძულებული არიან უცხოეთში მიდიოდნენ ლუკმაპურის საძებნელად.

ისინი საზღვარგარეთ მიდიან, ცხადია, არა იმიტომ, რომ კეთილი ცხოვრება აქვთ. ესპანეთი მკვეთრი სოციალური კონტრასტების ქვეყანაა, რომელშიც სიმდიდრისა და სიღატაკის პოლარიზაციამ ისეთ ზომას მიაღწია, როგორსაც ევროპაში მხოლოდ ისეთ ქვეყნებში შეხვდებით, როგორიც საბერძნეთი ან პორტუგალიაა. კონტრასტები უხვად არის ესპანეთის თვით დედაქალაქშიც. გვაროვნული დიდკაცობის მდიდრული ციხედარბაზებისა და გამდიდრებულ ბურჟუათა ფეშენებელური სასახლეების გვერდით მადრიდში მთელი რაიონებია, სადაც აუწერელი სიღატაკე სუფევს. ეს არის პროლეტარული გარეუბნები, რომლებიც

ფოტოინფორმაცია

ვორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი, ისევე როგორც მთელი პორტუგალია, მდიდარი და ღატაკი, მშვენიერი და მახინჯია. ქალაქის მუშათა უბნებში ათიათასობით ადამიანი დღემდე საცოდავ ჭობმახებში ცხოვრობს, რომლებიც ფანერისა დუ თუნუქისაგან არის როგორღაც შეკოწწებული. ჯურღმულებში მცხოვრები ბავშვების მესამედიც კი არ დადის სკოლაში, ადამიანები მოკლებულნი არიან ელემენტარულ სამედიცინო მომსახურებას.

ქვეყნის ხელისუფალნი არაფერს აკეთებენ მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. პირიქით, ეროვნული შემოსავლის უდიდეს ნაწილს შეიარაღება და კოლონიური სამფლობელოების ძალით შენარჩუნების პოლიტიკა ნთქავს.

სურათზე: დედაქალაქის მუშათა უბანში.

(საკდესის ფოტოკორონკა).

shida.ge

შაჭმატები

● ბონში გაიმართა ნოტების გაცვლა ჰამბურგში სამუდამო ელჩების „გენერალური ატაშეების“ დონეზე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ შეთანხმების თაობაზე.

● იმასთან დაკავშირებით, რომ სრულდება ეგვიპტის რევოლუციის მე-19 წლისთავი, 4 ათას აკრზე (1 აკრი უდრის 0,4 ჰექტარს) მეტი მიწა განაწილდება უმიწაწყლო გლეხებს შორის ნილოსის დელტაში. სულ განვლილ წლებში არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის კანონების საფუძველზე 450 ათასი გლეხის ოჯახს ე. წ. დაეცა 1 მილიონ აკრზე მეტი მიწა.

● საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ განაცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფლებამ აკრძალეს გაზეთ „ლუმანიტეს“ ტრადიციული დღესასწაულის მოწყობა პარიზის ვენსენის ტყეში.

● ბენგაზის (ლიბია) აეროპორტში დაკავეს სუდანის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბაბიკერ ანნური, რომელიც ხართუმში მიფრინავდა ინგლისის ავიაკომპანიის თვითმფრინავით ლონდონიდან, სადაც მკურნალობდა. ბოკასიავია კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თვითმფრინავი იძულებული იყო ბენგაზში გაეთვალისწინებლად დამჭკარიყო ლიბიის ხელისუფალთა ბრძანებით. ანნურთან ერთად დააპატიმრეს სუდანის რევოლუციური საბჭოს წევრი მაიორი მოჰამედ მაჰჯუბი.

● ამპრიპის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ ამერიკის სამხედრო ბაზების მშენებლობისა და შენახვისათვის 2,1 მილიარდი დოლარის ასიგნების შესახებ.

● ამერიკის მონოპოლიები აფართოებენ ეკონომიურ ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. „ფორდის“ კომპანიამ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს ფილიპინებზე ააშენოს მსუბუქი ავტომობილების წარმოების კომპლექსი. „ფორდის“ თავდაპირველი კაპიტალდაბანდება შეადგენს 40 მილიონ დოლარს, შემდეგ იგი გაიზრდება 100 მილიონამდე.

● უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ინგლისში მსხვილ მეწარმეთმფლობელთა კონკურენციის შედეგად გაჩანაგდა 50 ათასზე მეტი ფერმერის მეურნეობა. ინგლისის პრესის მონაცემებით, სახელმწიფოში ყოველწლიურად კოტრდება 4 ათასი ფერმერი.

● ესპანეთის პარლამენტმა მოიწონა შესწორება საზოგადოებრივი წესრიგის კანონისადმი, რომელიც ხელისუფალთა საშუალებას აძლევს 1 მილიონი პესეტის ოდენობით დააჯარიმოს პირნი, რომელნიც მთავრობას აკრიტიკებენ.

● ტურინის ახლოს დაბა მონტანაროში იტალიის პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის არალეგალური საწყობი, რომელიც ნეოფაშისტებს ეკუთვნოდა. აქ იყო 40 ავტომატი, 35 შაშხანა, 15 ათასი ვაზნა, ტყვიამფრქვევები, ხელის გრანატები და სხვა იარაღი. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განაცხადეს, ნეოფაშისტური რაზმები ამ მიდგრეზზე, რომლებიც პოლიციამ გადაკეთოს, გადიოდნენ სამხედრო წვრთნას და სროლაში ვარჯიშობდნენ.

საკდესი-შრანს პრესი-რესტრი.

საქართველოს კურორტებზე

ბორჯომი. (საქ. კორ.). „კურორტავჭრობის“ ბორჯომის განყოფილებამ დამსვენებელთა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად ამ დღეებში ერეკლეს ქუჩაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სავაჭრო კომპლექსი „აისი“.

შენობა სამსართულიანია. მისი პროექტი (არქიტექტორი ო. მიქელაძე) თანამედროვე სტილით არის გადაწყვეტილი, დარბაზები ნათელია და მოხერხებული. დამსვენებლები დიდად კმაყოფილი არიან ამ საზოგადოებრივი კვების ობიექტით.

სავაჭრო კომპლექსის პირველ სართულზე მოთავსებულია გასტრონომი, მეორეზე დიეტური სასადილო, მესამეზე კი კაფე. სავაჭრო კომპლექსი აღჭურვილია თანამედროვე ავეჯით და სამაცივრო დანადგარებით. კაფე და სასადილო ერთდროულად სამასამდე დამსვენებელს ემსახურება.



სურათზე: სავაჭრო კომპლექსი „აისი“.

ფოტო ა. გელაშვილისა.

ამ დღეებში გაგრაში გახსნილმა ახალმა სანატორიუმმა „კავკასიონმა“ სტუმართმოყვარულად მიიღო პირველი დამსვენებლები. სანატორიუმის 320-ადგილიანი ხუთსართულიანი თეთრი შენობა ზღვის ნაპირას არის აღმართული. ნერვიულ-სომატურ პროფილიან ამ სანატორიუმში უკვე დაიწყეს მუშაობა ფიზიოპროცედურების, მასაჟის, სტომატოლოგიის, რენტგენისა და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტებმა.

სურათებზე: მარცხნივ — „კავკასიონის“ საერთო ხედი; მარჯვნივ — სანატორიუმის სასადილოს დარბაზი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვინ იქნება მეხუთე?

მოსკოვი, 23 ივლისი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). სპორტული დავა ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრებთა შორის საერთო მეხუთე ადგილისათვის და გარდამავალი პრიზისათვის კვლავ ყურადღების ცენტრშია. ჯერჯერობით 73,5 ქულით წინ არიან ბელორუსიის სპორტსმენები. ეს იმას ნიშნავს, რომ დავუწიოთ მათ, საჭიროა სულ ცოტა ექვსი პირადი პირველი ადგილი, ან სამი გუნდური გამარჯვება. მაშინაც კი, თუ ისინი პარალელურ ჩათვლებს ვერ მიიღებენ. გადავხედოთ გამარტოულ ასპარეზობათა შეჯამებებს. ხუთ სახეობაში წარმატება საქართველოს გუნდს ხვდა, ამდენივე ბელორუსებს,. საქართველოს სპორტსმენებმა მეტოქეს კალათბურთში, ჭოგიურ ჭიდაობაში და სამბოში, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში და მშვილდოსნობაში აჯობეს; ბელორუსების გუნდმა კი გაგვიწწირა ყაგზატეცილო ველორბოლაში, იუნიორთა ტანვარჯიშში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობასა და ძალოსნობაში. მაგრამ სახეობები სახეობებია, მეტონ მიღებული ქულები კი სულ სხვა. ისეთ სახეობაში, როგორიც არის მძლეოსნობა, ბელორუსიის ნაკრების აჭიგშია 246,5 ქულა (მოზრდილების და იუნიორთა შედეგების ჯამი), საქართველოს გუნდმა კი მხოლოდ 81,5 56+25,5) ქულა მიიღო.

რამდენიმე დღეა სპორტის სასახლეში დავა აქვთ ტანმოვარჯიშეებს. პირველად სტარტი ვაჟებმა აიღეს. თვითეული გუნდიდან ექვსი სპორტსმენია. შეჯიბრება სამ ცვლად მიმდინარეობდა. მიმზიდველი აღმოჩნდა მესამე ცვლის გუნდების შეჯიბრება, სადაც ერთმანეთს პირველობაში ეჯიბრებოდნენ მოსკოვის, რსფსრ-ის, უკრაინის, ლენინგრადის, საქართველოსა და ყაზახეთის გუნდები. ჩვენს ტანმოვარჯიშეებს საველდებულო პროგრამის შემდეგ ასეთი ქულები აღმოაჩნდათ: მ. ბოგუსი — 64,3, ა. გნოლიძე — 50,1, გ. ღუდუშაური — 51,6, გ. ღოლაძე — 51,6, ა. ნოზაძე — 52,1 ა. ექსიუშიანი — 50,8. აღსანიშნავია, რომ ღერძზე ტანვარჯიშში ყველაზე მაღალი შეფასება მიიღეს მ. ვორონინმა(მოსკოვი) და მ. ბოგუსმა. თვითეულმა მათგანმა 9,45 ქულა მიიღო. საველდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდნენ მოსკოველები — 270,70 ქულა. მომდევნო ოთხი ადგილი თანმიმდევრულად უჭირავთ რსფსრ-ის, უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს გუნდებს. პირად ჩათვლაში ლიდერობს ა. მალეევი (ბელორუსია)— 55,3 ქულა, მ. ვორონინი— 55,15 ქულით მეორეა, მ. ბოგუსი 54,3 ქულით — მეექვსეა. ჩვენი რესპუბლიკის სხვა ტანმოვარჯიშეები უძლიერესთა რიგებში ვერ მოხვდნენ.

დღეს ტანმოვარჯიშე ვაჟები ასპარეზობდნენ ნებისმიერი პროგრამით. არანაკლებ საინტერესო გამოდგა ქალთა შეჯიბრებაც საველდებულო პროგრამით. საქართველოს გუნდის მოპაობა ქ. ბათომში ასპარეზობაში არიან: რ. ბერიკაშვილი, ე. ბოგოლიუბოვა, მ. ჯინჭარაძე, ლ. ლაბიჭოვა, მ. მონიავა, რ. სიხარულიძე. აქ გუნდურ შეჯიბრებაში თავიდანვე ძირითადი ბრძოლა წარიმართა ბელორუსიისა და მოსკოვის გუნდებს შორის. საველდებულო პროგრამის შემდეგ წინ არიან ბელორუსიის გუნდი — 181,70 ქულა. ლიდერებს 0,25 ქულით ჩამორჩებიან მოსკოველები, საქართველოს გუნდი — 156,95 ქულით მეექვსეა. პირად ჩათვლაში მთავარი შეტოქეობა მოსკოველ ო. კარასიოვასა და თ. ლაზაკიჭვილს (ბელორუსია) შორის მიმდინარეობს. პირველს 37,45 ქულა აქვს, მეორეს — 37,15. ჩვენი ტანმოვარჯიშე რ. სიხარულიძე მეცხრეა. აი საქართველოს ტანმოვარჯიშეთა შედეგები: ბერიკაშვილი— 34,75, ბოგოლიუბოვა — 34,75, ჯინჭარაძე — 35,3, ლაბაჩოვა — 34,8, მონიავა — 34,8, სიხარულიძე — 36,4 ქულა.

ორი დღეა მიმდინარეობს საცნობისო შეჯიბრება. იგი გწყობა არა მარტო სპარტაკიადის პროგრამით, არამედ თამაშდება საბჭოთა კავშირის პირველობაც. სპარტაკიადის პროგრამაშია სამჭიდი უფროსი ასაკის ცხენოსნებისათვის, ცხენის გაწვრთნის დიდი პრიზი და დაბრკოლებათა გადალახვა სსრ კავშირის თასზე. სამჭიდლებმა უკვე დაამთავრეს შეხვედრები სამნაქო სლალომში. წინ არის ე. პიირი (ესტონეთი) — 51,1 ქულა. ჩვენი ცხენოსანი ჩანტლაძე ესტონელ ი. კეპთან ერთად მეშვიდე ადგილს იყოფს. გუნდურ ასპარეზობაში ჩათვლა ხდება სამი სპორტსმენის შედეგით. წინ არიან მოსკოველები. საქართველოს გუნდი მეხუთეა. დღეს დაიწყო შეჯიბრება სველე გამოცდაში. ცოტა მაყურებელი როდი ჰყავს თავისუფალ ჭიდაობას. განვლო ოთხმა წყრმ. დღეს საღამოს შედგება გადამწყვეტი შეხვედრები. ქვემძიმე წონაში წარმატებით გამოდის ზ. ლომაძე, მძიმე წონაში ბელორუსიის წარმომადგენელი მედვედევი, მორიგ წონაში — ზ. შეყრილაძემ წმინდად მოუგო ლ. გვასელიოვს, გ. ყვარელაშვილმა ქულებით სძლია ო. ჯუსუინოვს, ასევე რ. მარსაგიშვილმა წარმატებას მიაღწია ა. ისტომინთან (უზბეკეთი) ბრძოლაში. ტ. ალიბეგაშვილმა მოუგო ი. მამედოვს (აზერბაიჯანი), ნ. ხოხაშვილმა ნ. აბრამოვს (ყაზახეთი). რაგორც ვხედავთ, ჩვენი მოჭიდავეების მაჩვენებლები ცუდი როდია. ვნახოთ, რით დამთავრდება დასკვნითი შეხვედრები. უნდა ვფიქრობთ, რომ ჩემპიონებიც გვეყოლება და პრიზიორებიც. ბრძოლას განაგრძობენ ტყავის ხელთათმანის ოსტატები — მოკრივეები. მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ჩვენი მძიმე წონის მოკრივემ ა. ნიკოლაძემ. მან დაამარცხა ი. ჭუდრიაშვილი და 8 უძლიერესში გავიდა. 48 კილოგრამამდე წონაში მ. მიქიაბაშვილმა (საქართველო) წააგო ორთაბრძოლა უკრაინელ მოკრივესთან. საქართველოს ხელბურთელმა ვაჟებმა მოიგეს გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად მოუგეს ლატვიის ნაკრებს — 21:16. პირველი წარმატება ხვდა ჩვენს ქალთა გუნდს, რომელმაც სძლია ყაზახეთის ხელბურთელებს 13:11. უკრაინელებთან წაგების (5:6) შემდეგ ჩვენმა წყალბურთელებმა მოუგეს უზბეკეთის 11:5 და ფინალში გასვლის რეალურ შანსებს ინარჩუნებენ. მოიგეს მატჩები მოიგეს აგრეთვე ფინალის სხვა გუნდებმა — მოსკოვის, უკრაინისა და რსფსრ-ის გუნდებმა. სტატისტიკურებისათვის მუსტენდურებისათვის ჩანაწერი აღმოჩნდა. მაგალითად, მოვეალ სტენდზე სროლაში ტ. ქუენტი პირველ ადგილზეა, ხოლო სატრაპში ოთხ სროლაში ზ. მაჩხანელი — — მეორეა, საფარიკაო ბილიკებზე რაპირით ასპარეზობა აქვთ ვაჟებს. აქ ჩინებულად გამოვიდა ნ. ჩიტიშვილი, რომელმაც სძლია არაერთ აღიარებულ სპორტსმენს და ნახევარფინალში გავიდა. განაგრძობენ ბრძოლას აფროსნები და ხელბურთელები. ფიცარნაგზე ერთი დღით შესვენება დაირღვა. ლატარაკია საშუალო წონის შტანგისტებზე, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ი. ივანჩენკომ (500 კილოგრამი სამჭიდში). რეკორდი კი არ დაუმყარებიათ, მაგრამ მომდევნო ქვემძიმე წონაში ვაჟთა ასპარეზობაში ერთბაშად ექვსი, მათ შორის ოთხი მსოფლიო და ორი საკავშირო რეკორდის მოწმენი ვიყავით. ძირითადი ბრძოლა რსფსრ-ის წარმომადგენლებს ბ. კოლოტოვსა და დ. რიგერტს შორის მიმდინარეობდა. ჩემპიონი გახდა ვ. კოლოტოვი — 537,5 კგ.

ვ. გაბელია.

სპორტის კალენდარი

სკაერტაკიადის ტაგლო

ქულები, ადგილები

მდგომარეობა 24 ივლისისათვის

1. რსფსრ — 1.071,5 ქულა
2. უკრაინა — 998,5
3. მოსკოვი — 857,5
4. ლენინგრადი — 579
5. ბელორუსია — 501
6. საქართველო — 426,5
7. ლატვია — 308
8. ყაზახეთი — 284
9. ესტონეთი — 240
10. ლიტვა — 203,5
11. აზერბაიჯანი — 124,5
12. მოლდავეთი — 115
13. უზბეკეთი — 94
14. ყირგიზეთი — 90,5
15. სომხეთი — 60,5
16. ტაჯიკეთი — 32,5.
17. თურქმენეთი — 7,5

ვადები შეიცვალა

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ სთხოვა ევროპის ფეხბურთელთა ასოციაციების კავშირს ნაწილობრივ შეეცვალა იმ მატჩების კალენდარი, რომლებშიც მონაწილეობენ მოსკოვის გუნდები — არშიის ცენტრალური სპორტული კლუბი, „დინამო“ და „სპარტაკი“. წილისყრით გამოდიოდა, რომ 29 სექტემბერს მოსკოვში ერთდროულად უნდა გამართულიყო ერთბაშად სამი საერთაშორისო შეხვედრა.

ევროპის ფეხბურთელთა ასოციაციების კავშირი დაეთანხმა ჩვენს ფედერაციას და ცვლილებანი შეიტანა კალენდარში. 15 სექტემბერს არშიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთელები გამოვლენ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თურქეთში „გალატასარაის“ გუნდის წინააღმდეგ, მოსკოვის დინამოელები ამავე დღეს მონაწილეობას მიიღებენ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“. იმავე დღეს მოსკოვში უეფას თასის პირველ გათამაშებაში მოსკოვის სპარტაკელები შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის „ვსს“ გუნდს (კოშიცე). 29 სექტემბერს არ მიელები თავიანთ მოედანზე მიიღებენ „გალატასარაის“, 30 სექტემბერს დინამოელები — „ოლიმპიაკოსს“. მოსკოვის „სპარტაკი“ 29 სექტემბერს გამოვა კოშიცეში. (საქდესი).

ყაიმების სერია დამთავრდა!

მეცხრე პარტიამ, როგორც იქნა, შეწყვიტა ყაიმების გაჭიანურებული სერია ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. მოუგო რა 22 ივლისს თეთრებით ვიქტორ კორჩნოის, ბეგრან პეტროსიანი გახდა ლიდერი — 5:4. მეათე პარტია გადაწყვეტს, საჭირო იქნება ამ შეჯიბრების განგრძობა, თუ მსოფლიოს ეკს-ჩემპიონი გახდება ამერიკელი გროსმაისტერის რობერტ ფიშერის მეტოქე ფინალში.

მეცხრე პარტიის დებიუტს შეიძლება დებიუტების კონკლომერატი ეწოდოს. აქ იყო როგორც ინდური დაცვის, ისე რეტის დებიუტის მოტივები, მაგრამ ყველაზე მეტად — ინგლისური დებიუტისა ამ რთულ სიტუაციაში მეტოქეებს არც ერთი ფიგურა არ დაუკარგავთ.

როცა შეიქმნა მწვავე პოზიცია, რომელიც შეიცავდა შესაძლებლობებს ორივე მხარისათვის, მსოფლიოს ეკს-ჩემპიონმა დაიწყო იერიში ლაზიერის ფლანგზე, რის შედეგად მოიგო ცენტრალური პაიკი.

შემდეგ ორმხრივ ციტნოტში პეტროსიანმა განავითარა უძლიერესი შეტევა შავების მეფეზე, და კორჩნოიმ დამარცხებულად ცნო თავი ისე, რომ არ დაელოდა თეორების ორმოცდამეორე სვლას, როცა პრეზენტირში უკვე გათამაშდა ხმები: „პარტია გადადებულია!“.

მეათე პარტია გაიმართება დღეს.

ვ. გაბაკინი.
(საკდესი).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

24 ივლისი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მხატვრული ფილმი —„მეგობრის გვერდით“, 12.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 13.55 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 14.20 — კინოპროგრამა, 15.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეხსიერების გამოცანა“ (ქართულ ენაზე), 15.45 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე“, 16.40 — პროგრამა ბავშვებისათვის — „ბებიდული ფოტომონადირე“, 17.00 — კონცერტი მოსწავლეთა თხოვნით“, 17.25 — გადაცემა „ლურსმულ წარწერათა საიდუმლოება“, 17.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 18.00 — ფერადი ტელევიზია. შეხვედრები საბჭოთა კავშირის თასზე „სპარტაკში“ (მოსკოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) ნახევარფინალი (გადმოცემა მოსკოვიდან), შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.45 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — ყვარლის რაიონი, 21.00 — „ვაჭრობის მუშაკთა დღე“ — სტუდიაში საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ჯ. თოხაძე, 21.15 — ციკლიდან „სტუმრად ხელოვანთან“ — ჯობა გურული, 22.00 — „ფორსაჟორების საღამო“. ინგლისური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი (პრემიერა) XIV სერია, 22.50 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.00 — „ვამოცდების წინ“, 19.40 — მხატვრული ფილმი — „ონორე დე ბალზაკის შეცდომა“.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

სამასი მოწმე

ან რა ხდებოდა რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში

დანაშაულის ქვალდაქვალ

ასამართლო პროცესი ერთ თვეს მიმდინარეობდა, საქმის წინასწარი გამოძიებისას და თვით სამსჯავრო სხდომაზე დაკითხულ იქნა 300-ზე მეტი მოწმე.

მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ამ ციფრს — 300!.

ამით იმის ხაზგასმა კი არ გვინდა, თუ რამდენ რთული და მძიმე იყო სისხლის სამართლის ეს საქმე. არა, აქ, ამ დარბაზში, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას ამაზე ძნელი და რთული საქმეებიც გაურჩევია.

მკითხველის ყურადღება სულ სხვა გარემოებას გვინდა მივაპყროთ. 300 მოწმე!! ეს ხომ მთელი საზოგადოებაა! ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული ხდებოდა დღისით, საქვეყნოდ და საჯაროდ, ყველას თვალწინ. ის, რაც სამასზე მეტმა კაცმა იცის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სულ მალე შეიძლება ათჯერ სამასმა გაიგოს...

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ვარაუდებსაც, ნუ გავაზვიადებთ. განა 300 კაცი არ კმაროდა იმისათვის, რომ ბორკტმოქმედთა მცირე, ათიოდე კაცისაგან შემდგარ ჯგუფს გაბედულად აღდგომოდნენ წინ და დანაშაულისათვის საზოგადოებრივი აზრი, კანონი და სამართალი დაეპირისპირებინათ?!

გასაოცარი და სავალალო სწორედ ის არის, რომ ამ ადამიანებში ერთიც არ გამოჩნდა ისეთი, აღშფოთებისა და გულისწყრომის გრძნობა მაინც რომ გაჩენოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს მათ არაფრით არ გამოუხატავთ და, მით უმეტეს, საქმით არ დაუმტკიცებიათ. დუმდენ ვიდრე თვით შემთხვევამ და გარემოებამ არ წარმოშვა დანაშაულის მხილების სიტუაცია და აუცილებლობა.

რა არის ეს?! უპრინციპობა? გულგრილობა? სიმხდალე? თუ ყველა ერთად, და უფრო მეტიც — დანაშაული!

თუმცა ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას. სჯობს ჯერ თვით ამბავს მოგიყვეთ და საქმის ვითარება გაგაცნოთ.

ეს მოხდა რუსთავში. ამ ოთხიოდე წლის წინათ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქს კიდევ ერთი ახალი საწარმო შეემატა — ამუშავდა ლითონკონსტრუქციების ქარხანა. ეს არის დიდად მნიშვნელოვანი საწარმო, რომელიც მძიმე ინდუსტრიისათვის ამზადებს შედუღებული ფოლადის კონსტრუქციებს, ბუნკერებს, დიდი დიამეტრის მილგაყვანილობებს, მარტენისა და სხვა სახის ლითონწსადნობი ღუმელების კარკასებს და სხვ.

ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველ წლებში მუშათა საშუალო ხელფასი მცირე იყო, ამის გამო წარმოება მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. განსაკუთრებით სპეციალისტები — ზეინკლები, ელექტრიკოსები, ხარატები, ყველაზე მეტად კი შემდუღებლები.

საქმეს ისიც აძნელებდა, რომ ახალდაარსებულ საწარმოს ჯერ კიდევ საშუალება არა ჰქონდა ბინებით დაეკმაყოფილებინა მუშა-მოსამსახურეები. 350-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი და ერთი 72-ბინიანი სახლი, რომელიც 1968 წელს აშენდა, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

დაგეგმვის ახალ სისტემაზე გადაყვანასთან დაკავშირებით ქარხანას საშუალება ეძლეოდა საკუთარი სახსრებით აეშენებინა საცხოვრებელი სახლები, მაგრამ საწარმო ახალფუძადმყოფი იყო, ჯერჯერობით მოგეგებას ვერ იძლეოდა და არც საამისო თანხები გააჩნდა. სადირექტივო ორგანოებმა გაითვალისწინეს ეს გარემოება და მუშა-სპეციალისტების მიზიდვისა და მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით ქარხანას გამოუყვეს სახსრები საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, ამასთან სსრ კავშირის „მონტაჟსპეცმშენის“ სისტემის ყველა ორგანიზაცია 1968-1970 წლებში სპეციალური დადგენილებით განთავისუფლებულ იქნა მშენებელი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საბჭოებისათვის ბინების მიცემისაგან.

აი ასეთი იყო საერთო ვითარება რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში 1968 წელს, როცა მის დირექტორად ბიძი შალვას-ძე მაღრაძე დანიშნეს.

გ. მაღრაძე ხელმძღვანელობა იმ კატეგორიას არ ეკუთვნოდა, რომლებიც მთლიანად საქმეზე არიან გადაგებული, საკუთარ თავსა და ოჯახსაც რომ ივიწყებენ. ასეთები მას სასაცილოდაც არ ყოფნიდა. ამ საკითხზე მას საკუთარი შეხედულება ჰქონდა: თუ შენთვის არ ვარგიხარ, ვერც ქვეყანას გამოადგებიო, უყვარდა მას ხუმრობა და თუ რა ღრმა და თავისებურ აზრს ანიჭებდა იგი ამ გამოთქმას, ქვემოთ დავინახავთ.

მიიღო თუ არა დირექტორის პოსტი, უწინარეს ყოვლისა მან გარემემო მიმოიხედა — რა იყო მისთვის აქ სარფიანი და სასარგებლო?

ხელფასი მოემატა, მაგრამ ეს საათვალაში ჩასაგდები არც იყო. ხელფასით გამდიდრებული კაცი ვის უნახავს! ახალგამომცხვარმა დირექტორმა კი იმთავითვე ფართო გეგმები დაისახა. იმედებს უმთავრესად იმაზე ამყარებდა, რომ ახლა მის სიტყვას და განკარგულებას კანონის ძალა ჰქონდა. რატომ არ უნდა გამოიყენოს ეს უფლებები და პრივილეგიები, რასაც მას საწარმოს ხელმძღვანელის მაღალი თანამდებობა ანიჭებს.

ოღონდაც რომ გამოიყენებს, მაგრამ როგორ, აქ ისეთი რომ არაფერი არა ჩანს! ფართო საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციას რომ უშვებდეს ქარხანა, იცოცხლე, რამეს მოახერხებდა, ამ რკინის კონსტრუქციებს კი, ძალიანაც რომ მოინდომო, ფულად ვერ აქცევ.

ვნახოთ, დავუკვირდეთ, გავეცნოთ საქმეს, ამოდენა ქარხანაა, ბელელაც თავგი შიმჩიენით არ მოკვდება, გამოიხნება რამეო — იმედს არ კარგავდა მაღრაძე.

დიდხანს არც დასჭირვებია ლოდინი, შესაფერი მომენტიც მალე დადგა. 1970 წლის დასაწყისში დამთავრდა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი სამი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ერთბაშად დირექტორის ხელში გასაწნეებელი აღმოჩნდა 227 ბინა.

ერიჰაა! ეს მთელი სიმდიდრე იყო. მართალია, ეს სიმდიდრე მაინდამაინც სულაც არ ეკუთვნოდა — სახლები სახელმწიფომ აუშენა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, ისიც მართალია, რომ ქარხანაში არსებობდა საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისია, რომელსაც ადმინისტრაციასთან და საქარხნო კომიტეტთან შეთანხმებით უნდა გაენაწილებინა ბინები. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას! ეს მუშა-მოსამსახურეებიც, ეს კომისიაც, კომიტეტიც ხომ დირექტორის ქვეშევრდომნი და მონამორჩილნი არიან. აბა გაბედოს ვინმემ და წინ აღუდგეს დირექტორის ნება-სურვილს და ერთი ბინა გაანაწილოს მის დაუკითხავად?

აი როგორ ჰქონდა დაყენებული საქმე მაღრაძეს თავის საწარმოში.

რა გამოვიდა მერე აქედან. ასეთი განუსაზღვრელი უფლებამოსილებით შეიძლება პატივმოყვარეობის გრძნობა დაიკმაყოფილოს მაღრაძისთანა კაცმა, მაგრამ ამით სიმდიდრეს ვერ მოიხვეჭს!

ამის შეგნებამ სიამაყის და პატივმოყვარეობის გრძნობა ერთბაშად დათრგუნა დირექტორის გულში. და იმ ძუნწივით, რომელიც იძულებულია არასასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი ხარჯები გასწიოს, მაღრაძემ თავი შეიკრა ცხყოფილად იგრძნო: უნდა აგეგეს და მთელი ეს ამოდენა სიმდიდრე გაეწყნაროს და დაურიგოს ხალხს. დიდი ამბავია, თუ მისი ნებითა და დასტურით მოხდება ეს. მადლობას ვინ ეტყვის! გვეკუთვნოდა და მოგვეცესო, მთავრობას შეეთვლიან მადლობას.

თუმცა არც ასეა საქმე. გ. მაღრაძე საქვეყნოდ დაგიმტკიცებთ, რომ თანამდებობის პირის ძალაუფლება მარტო პატივმოყვარეობის გრძნობის დაკმაყოფილების საშუალება არ არის, იგი ფული ღირს, ამ ძალაუფლებით სიმდიდრის მოხვეჭაც შეიძლება.

და დაგვიმტკიცა. ისე საფუძვლიანად დაგვიმტკიცა, რომ 25 ტომი შეადგინა დამამტკიცებელმა საბუთებმა, ხოლო საგამომძიებლო და მართლმსაჯულების ორგანოები მთელი წელი მოუნდნენ მათს აღნუსხვასა და შეჯერებას.

გმკუთვნის ბინა. მერმე რა, უშრომ ველ და შემიძლია არ მოგცე. რას იზამ, თუ ბინა გინდა, იმასაც უნდა მიხვდე, რა უნდა ქნა — აი ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში ბინები ნაწილდებოდა.

ციდან ჩამოფრენილი არავინ იყო და მალე ყველა მიხვდა, რაც იყო საჭირო ბინის მიღებისათვის — ჯრამის ბილეთის გაღებაა.

ბინათმანაწილების არჩეული პრინციპის წარმატებით განხორციელებისათვის წინასწარ საფუძვლიანად მომზადდა ნიადაგი. საქმეს ისიც აადვილებდა, რომ ბორკტმოქმედებაში დირექტორმა გვერდში ამოიყენა ქარხნის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა — მოადგილე ვლადიმერ დავითის-ძე კაპანაძე, თბომომარაგების საამქროს უფროსი, ქარხნის პარტბიუროს მდივანი ალექსანდრე შალვას-ძე ხუშუა, სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი ბირობი არჩილის-ძე ბიმაძე, საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარე ბრიბოლ კონსტანტინეს-ძე ვალიუხი. დანაშაულში გარეული არიან აგრეთვე „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს უფროსი ბიძი ევგენის-ძე ბაქრაძე, ზეინკალი ვლადიმერ ვასილის-ძე გრიბალაშვილი, ელექტრომონტიორი ანზორ ვლადიმერის-ძე მურანიძე და სხვები.

ბორკტმოქმედთა ჯგუფმა საქმე იმით დაიწყო, რომ ქარხანაში სხვა გაავრცელა: მთავრობამ პირი გვიტეხა, დაპირებულ ბინებს არ გვაძლევენ, დიდი ნაწილი ქალაქის საბჭოს მიაქვსო.

ამ ჭორმა მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ატყდა პანიკა, აღელდა და აწრიალდა ხალხი. ვისაც ადრე ბინის მიღების სრული იმედი ჰქონდა, ახლა ეჭვსა და სადარდელში ჩავარდა — ვაი თუ არ მომიწიოსო.

დატრიალდნენ ბინის მომლოდინენი, ყველა თავისას ცდილობდა, ეძებდნენ და პოულობდნენ დირექტორთან და ქარხნის სხვა ხელმძღვანელებთან დაახლოებულ პირებს. ითმთებოდა საიდუმლო მოლაპარაკებანი და გარიგებები, ხოლო სულ ბოლო ამ მოლაპარაკება-გარიგებათა ამბავი არავისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა — მთელმა ქარხანამ იცოდა, რომ ქრთამის გაუღებლად ბინას ვერავინ ვერ მიიღებდა. ქრთამს აძლევდნენ ისინიც, ვისაც ბინა ისედ ეკუთვნოდა, ისინიც, ვისაც არ ეკუთვნოდა. დაახლოებით განსაზღვრული იყო თანხის ოდენობაც, — 1000-2000 მანეთი. ეს დამოკიდებული იყო ბინის ფართობზე და კანონიერების დარღვევის ხარისხზე.

ასე მიიღო ბინა რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში 48 კაცმა.

ძნელია გადაჭრით ვთქვათ, რომ ისინი ყველანი უპატიოსნონი იყვნენ. ვინ იცის, რა ძვირად დაუჯდა ზოგს ქრთამის გაღება. სიძნელეს ქმნიდა არა მარტო მორალური პასუხისმგებლობა (ცხადია, ბევრს სინდისიც ქენჯნიდა), არამედ ამდენი თანხის გადახდაც. გული გეკუმშებათ, ზოგიერთი ქრთამის მიმცემის ჩვენებას რომ კითხულობთ. ისინი მეტწილად ახალგაზრდები არიან, ახალშექმნილი ოჯახები აქვთ და აბა რა დანაზოგი უნდა ჰქონოდათ! ბევრი მათგანი მშობლიურ სოფელში ჩავიდა, მოხეცი მშობლებისა და ახლობელ-ნათესავებისაგან მანეთ-მანეთობით ისესხა ფული და ისე ჩაუთვალა მექრთამეს გამომძალველებს.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს მაინც ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. კმაყოფილნი დარჩნენ ქრთამის აღებნიც და ქრთამის მიმცენიც. და აღბათ ასე მშვიდობიანადვე დამთავრებოდა ყველაფერი, რომ თავი არ ეჩინა ორივე მხარისათვის გაუთვალისწინებელ გარემოებას: ქარხანაში მუშახელის ნაკლებობასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო ზემდგომი ორგანოების დადგინებით „საქმონტაჟსპეცმშენის“ სისტემის ორგანიზაციები შეყვანილ იქნენ იმ ორგანიზაციათა ნუსხაში, რომლებსაც უფლება ეძლევათ სასამართლოს წესით საცხოვრებელი ბინებიდან გამოასახლონ ის პირნი, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს ამ ორგანიზაციასთან.

ბინა რომ მიიღო, ზოგმა ყურიც არ ათხოვა ამ დადგენილებას და სხვა საწარმოში გადავიდა სამუშაოდ, სადაც უკეთესი პირობები იყო. ქარხნის ხელმძღვანელობა მოვალე იყო სასამართლოსათვის გადაეცა ისინი. მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელებს პირი ქრთამით ჰქონდათ სავსე, და ხმას ვერ იღებდნენ. საწარმო კი კვლავ სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მაშინ ზემოდან შეასხენეს დირექტორს მთავრობის დადგენილება და ისიც უთხრეს როგორ უნდა მოქცეულიყო. ბოლოს და ბოლოს გ. მაღრაძე იძულებული გახდა სახალხო სასამართლოში აღეძრა სარჩელი. ეს იყო 1970 წლის 21 ივლისს. იმავე დღეს მობინადრენი ქალაქ რუსთავის პროკურატურაში გამოცხადდნენ განცხადებებით და აღიარეს, ამ ბინებში ქრთამი გვაქვს მიცემული და რაკი ასეა, ფული უკან დაგვიბრუნონო.

შემდეგ რაც მოხდა, მკითხველმა უკვე იცის.

ბორკტმოქმედნი მსჯავრდადებულნი არიან. გ. მაღრაძეს მიესაჯა 15 წლით პატიმრობა და 3 წლით გადასახლება, ვ. კაპანაძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, შესაბამისად 12, 10, 8, 5, წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ ა. ხუჭუას, ა. მურვანიძეს, ბ. ბიმაძეს, გ. ვალიუხს, ვ. გრიგალაშვილს. შესაფერისად არიან დასჯილნი სხვა დამნაშავენიც.

წინასწარი გამოძიება მაღალკვალიფიციურად, ზუსტად და დამჯერებლად წარმართა საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა იუსტიციის მრჩეველმა ყიფიანმა. საქმე გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ა. წიქორიძის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდიოდა რესპუბლიკის პროკ